

№5
ფასი: 50.

სიწიკი

მარტი
1937.6



მწარე ფიქრები
 ვიჩი:- სხვები არ შეუშვამენ ანაბრანებზე,
 რა უნდა მოვახადო?

ნახ. ზ. ისაიანი

9/6 7 48
134

ბრძანების ბრძანება



ჩემი ბრძოლების
და იერიშითა
მრავალი ახსოვს
მტერს მრისხანება,
და კვლავ ჩემს ერთგულ
რაზმელთა მიმართ
შევეყნდება ჩემგან
ესე ბრძანება.

ნურავინ ფიქრობს,
რომ საზღვარს მივსცემ
ბრძოლის ქარიშხლის
აბობოქრებას, —
და კვლავ ახალი
ბრძოლებისათვის
ვიწყებ დღეიდენ
ძალთა მოკრებას.

ვისაც გული აქვს
და ერის ღონე
ვინც ჩვენთან არის
სწრაფვით და რწმენით, —
მისთვის ღია მაქვს
ბანაკის კარი,
მოდით, შემოკრებით,
დაირაზმენით!

ნურავინ ფიქრობს,
თითქოს სავსებით
მტერი მოისპო
და განადგურდა,
ან სანიანგო
თემად კი მხოლოდ
დარჩა მოლარის
ნაქაფი ხურიდა.

ღე, მათაც დასცხვთ,
ვით ქურდ-ბაცაცებს...
მაგრამ ვახსოვდეთ
მტერი ფარული
აშკარა მტერთა
ფერაგი ხელით
მოგზავნილი და
შემოპარული.

მათი ხანაში
გადაძახება
არის მოლაშქრის
პირველი ვალი;

ექებეთ ყველგან,
არვინ დაზოგოთ,
ყოველთვის ფხიზლად
გეჭიროთ თვალი!

კვლავც ბევრი დაგვრჩა
ბიუროკრატი,
ვინაც ვერ იტანს
ნაკლთა მხილებას,
მაგრად რომ მოვცხოვ
წვერები ჩანგლის, —
წაშლად ერგება
ამგვარ ქმნილებას.

მოგვეწერეთ. ვინ შლის
სამეურნეო
გეგმებს, თაღლითობს,
ან თვალთმაქცია,
„ჩავეკარტიჩებ“
საქვეყნოდ ყველას
და „აიწევა“
მათი აქცია.

ებრძანებ: დღეიდან
ჩემს რაზმელთაგან
შესდგეს მსუბუქი
კავალერია
და თავს დაესხას
მტრებს ადგილებზე
შეაცვლევინოს
შიშით ფერია.

თავდასხმა იყოს
მოულოდნელი
და მაღი, როგორ
გრიგალი ქარი
რომ ყოველ რაზმის
მტრის ზურგში შეჭრამ
მსხვერპლს მოუტანოს
გლოვა და ზარი.

ბრძოლათა გაშლის
მიზნით დღეიდან
ვაწესებ ყველგან
ჩემს საგუშაგოს:

თვითეულ უბანს
გუნიშნავ უფროსს,
ვისაც ჰხამს ჩემს შტაბს
პასუხი აგოს.

ბათუმის მხარეს
ვანდობ ბ. ოზოლს,
მას მტერთა მუსვრა
არ ეზარება,
(მაგრამ ბოლო დროს
თავს იმძინარებს
და თან დასჩემდა
ხშირი მთქნარება).

გურიას ვანდობ
პიტნას, დროებით,
მან მტერთა გულნი
ბევრჯერ დაკოდა
(მე უხვად მახსოვს
წარსულში ძღვენი
ამ გრცელი ფრონტის
საგუშაგოდან).

აფხაზეთიდან
ღე, მემსახუროს
ცისკარელი და
გოგია მიტრო,
მათეც ენდობა
სენაკის მხარეც,
ჩემ საკბილოთა
უხვი სამკვიდრო!

სამტრედიაში
ჭაგნელ ბზიკს ვაძლევ
ჩემს საგუშაგოს
მეთაურობას;
შეფობას ვაძლევ
წულუკიძეზე
და ნუ მოაკლებს
კულაშს სტუმრობას!

ქუთაისს ვანდობ
კოსტაიდს, ბანჩოს.
(იქვე გვყავს ჩვენვე
ასათიანი,
მაზ არა ერთი
მომართვა ძღვენი
ლექსიც გამოთქვა
ლაზათიანი).

გაინაწილონ
რაიონები
თავდასხმისათვის
როგორც სჯობდა...
ქიათურაში
ჩემს რწმუნებულად
მუდამ იყო და
ჩრება გოგია,

მას თანაშემწედ
გუნიშნავ კრეონს,
მმუსრავ-მგველია
(მათგან საკბილოს
ჩვენს მთავარ შტაბში
დიდი ხანია
რაც მოეღიან).

ჯუღელის მხარეს
ტევრელს ვაკუთნებ,
კირკიტას ჰქონდეს
ხარაგოული,
ორჯონიკიძის
რაიონითურთ
(ენახოთ საკბილოს
როგორ მოუვლის).

სურამ-ძირულის
ხეობას ჰვლავდეს
ვარლამ ჩინლაძე,
ძველი, ჭალარა.
მან არა ერთხელ
მსუქანი ძღვენი
მე მომალხინა
და გამახარა.

ახალ-ციხის და
ბორჯომის მხარის
ნიახურს ჰქონდეს
საგუშაგონი,
ვინაც კი მოჰყვებს
საკბილო ხელში
არ შეარჩინოს
ტყავი და ქონი!

გორის შესახებ
ჯერ თავს ვიკავებ,
მას სიმონ-ალა
ჰვლავდა თავიდან,
ორ დღეში გაჩნდეს
პატაკით ჩემთან,
სად იმყოფება,
ვისთან წავიდა!

სიღნაღი დარჩენ
„შიხლინსკი ზომბნა“,
აღბუღალი და
ბორჩალო — ხენონს,
რკინის-გზის ტრანსპორტს
ძნელ-ოღლს ვაკუთნებ,
რომ საკბილონი
არ მოასვენოს!



ფაშისტ ოკუპატორის გასაჭირი

ნახ. კანდელაკის

უკანასკნელ ხანებში ესპანეთში იტალიელ და გერმანელ „მოხალისეთა“ რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა.

ეროვნული
ბიზლიროთეკა



ოკუპატორი: — არ შეგიძლიათ შერ, ამ თქვენი ქვეყანაში იტალიელი მეამბოხე გამომიჩიოთ. სურათი მინდა გადავიღო მათი ბრძოლის შეხასებ.

რომ განუწყვეტელ
იერიშებით
მტერს დაეკარგოს
შიშით იერი,
ნავთლულში დარჩენს
კოვრიგალიტე,
ლენრაიონში
ხაფიჩხიელი.

გზა-ტყეცილების
შენების ტემპი
დიდად აფიქრებს
ჩემს მხედრულ მუხას,
ეს საგუშავო
მიენდოს „წყუულს“,
სადაც გაჩნდება
მტერს ჩანვალს სდრუხავს.

უბნებზე, სადაც
მეთაურები
არ დამინიშნავენ
მა დროებით,
მათ მივამაგრებ,
ვინც მომაწონებს
თავს მოწოდებულ
საკბილოებით.

ვისაც გული აქვს
და ერჩის ღონე,
ვინც ჩემთან არის
სწრაფვით და რწმენით, —
მისთვის ღია მაქვს
ბანაკის კარი
მოლით! შემოკრებით!
დაირაზმენით!

დედანთან სწორია: მიღუზა.



ნიახურტრესტი შფოთიანი დღე გათენდა. დილიდანვე ერთი თანამშრომელი შეკითხა მეორეს:

- გაიგე ახალი ამბავი?
- ჰო, რაღაცას მოვეკარი ყური, ვითომ რაო?
- არ ვიცი, მაგრამ ფაქტია.
- რას ამბობ, მართლა ფაქტია?
- ურყევი.
- ჰო, მაშ სინამდვილე ყოფილა.
- უდავო სინამდვილე.
სამ წუთში მთელი ნიახურტრესტი აფორიაქდა.
- მართლა ფაქტია? - კითხულობდნენ ერთნი.
- უღმობელი და უეჭველი. - უპასუხებდნენ მეორენი.



მაგრამ საქმის დედაარსი მაინც ვერავის გაეგო. რა იყო ეს „ფაქტი“. რატომ ეცა ერთმანეთს დაწვებულების მთელი შტატი? ეს კითხვა გვიან დაიბადა ვილაცას თავში და როცა სინამდვილის გაგება მოსურვეს, მაშინ-ღა გაახსენდად საქმეთა მმართველი ლუარსაბ ჩაჩანაკი.

- ლუარსაბს ვკითხოთ, საქმეში ჩაგვახედებს.

- მაშ ფაქტია? - შეეკითხნენ ლუარსაბსაც.

ლუარსაბ ჩაჩანაკი...ო. თქვენ არ იცნობთ ლუარსაბ ჩაჩანაკს: „ენა დაშაქრულიო“ რომ იტყვიან. სწორედ იმაზეა ზედგამოჭრილი: მან კარგად იცის მაგალითად. რომ თანამდებობით უფროსის წინაშე კითხვით ნიშანივით უნდა მოიკავოს კაცი, თვალეში ნაძალადევი ალერსის ნაპერწკალი უნდა ააბუჭტოს და ეძებოს უფროსის სახეზე თუ რა აზრის გამოთქმა უნდა, რომ უმაღვე დაეთანხმო. და შერჩეული სიტყვა შეაგებოს. მაგალითად. თუ უფროსი ლუარსაბის რომელიმე მახლობელზე აზრის გამოთქმას მოინდომებს და იტყვის:

- ეგ ყმაწვილი ქცევით კარგი სჩანს. მაგრამ როგორც კაცი...

ჩაჩანაკი ფიქრობს, რომ უფროსზე უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მახლობელმა და სიტყვის დამთავრებას აღარ აცლის:

- თქვენ მართალს ბრძანებთ, როგორც კაცი, გროზად არ ვარგა ჩემი ბიძაშვილი: წამხდარია, გაფუჭებული, პირდაპირ მცხვენიან მის მაგერ.

მაგრამ ირკვევა, რომ უფროსს სხვა უნდა ეთქვა:

მ. ჯავახიშვილი

მე ამას გეტყვით გეთაყვათ რომა, ჩვენი სამწერლო ენა დაკოჭლდა, ვით არ გამოვთქვა მე გულისწყრომა, რომ ბევრი ტურფა სიტყვა დაგონჯდა. მე ვსძლიე ნაკლი, მოვსპე წუნი და ქართული ენა ავალორძინე, სიმწრით დაეზარდე „ცხრა ქალწული“ და ჯერ ერთიც კი ვერ დავაჭორწინე.

ზ. ლალიანი

ჰე, სულმნათნო კლასიკოსნო, თქვენ აროდეს მოძველებით, დე სახელი თქვენ დაგრჩეს და მე-მონტაეის პროცენტები. ჩემგან შექსპირის მონტაესაც თეატრები მოვიღიან, დეზდემონას ჰამლეტს შევერთავ და ოტელოს ოფელიას.

- პირიქით, მე ვფიქრობ, რომ როგორც კაცი უფრო უკეთესი უნდა იყოს.

ჩაჩანაკი კიდევ უფრო გათაფლ-გაშაქრდება, ყელს ზევით წაიცილებს:

- როგორც კაცი, მართლაც კაია. თქროა პირდაპირ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩვენს რაიონში მაგის შესადარი არც მოიძებნება ხე, ხე, ხე... მიხარია, რომ ასეთი ნათესავი მყავს...

მაგრამ აი ჩათაბალა: უფროსი გვლავ აზრს იცვლის:

- მაგრამ, მე მგონია, რომ მაგ თქვენი ნათესავი ცუდლუბი უნდა იყოს.

ჩაჩანაკი წკმუტუნის მსგავსი ხმის გამოცემით ტუნებს ილოკავს და ისეთ მოძრაობას ლებულობს, თითქოს საიდუმლო კუდი აქვს და იმას აჭიციებსო.

- ცუდლუბია... ნამდვილი ვათახსირებუღია. გროშ - კაპიკად არ ღირს ეგ შეჩვენებული, ხი, ხი, ხი.

მაშინ კმაყოფილი უფროსი ჩუმდება, იმ შეგნებით, რომ მას შესწევს სიტყვის ძალა, რომლითაც ერთიდაიგივე საგანი ათასნაირად შეიძლება შეაჩვენოს. ხოლო ჩაჩანაკი უფროსის პალტოზე ტალახს შეამჩნევს და საკუთარი სახელოთი სწმენდს. ამასობაში უხერხულობა დავიწყებას ეძლევა.

ერთი სიუჟეტით ნიახურტრესტის საქმეთა მმართველმა ლუარსაბ ჩაჩანაკმა იცის თუ სად იზამთრესტები.

ჰო და აი ლუარსაბ ჩაჩანაკი ახლა ახალი საქმის კურსში იყო. მას მიმართეს კითხვით:

- მართლა ფაქტია ამხ. ლუარსაბ?

- ფაქტის უფაქტესი. მე უკვე მოვემზადე...

- რისთვის მოემზადე ლუარსაბ?

ამ სიტყვებზე ლუარსაბი შემკითხველთა ერთ ჯგუფს დააცქერდა. ისინი მოხსნილი დირექტორის ნათესაები იყვნენ, - აათვალჩათვალაიერა და ჩაიხითხითა.

- ხი, ხი, ხი. მგონი არ მოგეწონათ?.. აბა, სამუდამოდ ხომ არ აპარპაშებდნენ იმ ბიუროკრატს. - გაუგეს...

პ. კაკაბაძე

მე ხომ ხუთწუდედში ვწერ ერთ პიესას, ორი ხუთწუდედს დადგმას უნდა შევქმნა. ეხ... ავანსებს რომ ჩამომავალი დრამატურგობაც არ დამჭირდება.

ი. მხედლიშვილი

ვიშ! პიესას აღარ დავწერ და ვიქნები ჭკუიანად, აღარც მაშინ დამიღვამენ „ოიანა-ბუიანას?!“.

ი. გრიშაშვილი

უშალ მკითხველს ვთავაზობდი მუშაკამბარულ ლექსის კონებს, ახლა მუზას ვასვენებ და... დასტობით ვსთხზავ ლექსიკონებს.

დონ-კიხოტი.

- კი მაგრამ, შენ ხომ მოგწონდა და ფეხქვეშ ეგებოდი?

- მე? არასოდეს... მე მუდამ თვითკრიტიკის მახვილი იარაღით ვებრძოდი მას. ამის შესახებ უკვე ვესაუბრე ჩვენს ახალ დირექტორს, რომელთანაც გუშინ უკვე მოვახერხე სახლში მისვლა. ჩინებული მუშაკია ხე, ხე, ხე...

ამ დროს დაწვესებულების კარებთან მანქანა გაჩერდა. ახალი დირექტორი მოვიდა.

როგორც მოგვხსენებათ, დაწვესებულებაში ახალი დირექტორის მისვლას შესაფერისი ცერემონიალი უნდა უძლოდეს წინ. ამასთანავე, ეს ცერემონიალი მკაცრად უნდა იყოს შეფარდებული თვით უფროსის ხასიათთან: ზოგს სიტყვებით მისაღობა უყვარს, ზოგს - კარიდორში შეგება. ზოგს - თანამშრომლების მიერ საქმიანი გამომეტყველების მიღება და პირზე ნაძალადევი ლიმილი, - ერთის სიტყვით, ბევრნაირია დირექტორი.

ნიახურტრესტის დირექტორი კი - უბრალოდ მოვიდა და პირდაპირ კაბინეტს მიამუტრა. ამ დროს, ქუჩიდან რომელიღაც შემოსვლელს ერთი, ნახევრადქეციანი ძაღლი შემოჰყვა და კარიდორში სუნსული დაიწყოლუარსაბს, რატომღაც მოეჩვენა, რომ ის დირექტორს მოჰყვაო.



- დირექტორის ძაღლი, - გაიფიქრა ჩაჩანაკმა და ალერსიანი სახით გაეშურა მისკენ.

- ჭუს, ჭუს, ცუბა, ჩემო კარგო, ჭუს, აქეთ მოდი, - მარია, - მიმართა მან მებუფეტს, - ერთი ბულკი და ძეხვის ნაჭერო

(...) ლურიესი.



— მაშ შენც აპირობ ამ ქალაქიდან გადასახლებას?
— მინდა მოვასწრო, ხანამ ფარულ არჩევნებში გამაშავებდნენ.

მორთვი... ქუც, ქუც, ცემო ცუგა, ცუგლუმელა, აი ქაბე ასე ყოჩად... რაკი შეატყო, რომ ძალს კაი მადა ჰქონდა, ლუარსაბმა სამი ულუფა ძეხვი და ფუნთუში კიდევ მოატანინა და ალერსითა და მზრუნველობით შეაქამა, თან ქეციან კისერზე ხელს უსვამდა და ენამოწმებით უფურგულვდა.

— ცემო ცუგა, ცუგლუმელა, ცემო ცანგალა, ცემო ციციანათელა.

დირექტორის კაბინეტიდან ზარი დაირეკა. ჩაჩანაკმა სახეზე ლაქუცის შარავანდედი მოიფინა და იქით გაეშურა.

— დაბრძანდით, — უჩვენა დირექტორმა სკამზე.

— გმადლობთ, მე... პირიქით... მაგრამ ნება მიბოძეთ...

ამ სიტყვებზე დირექტორს მიუახლოვდა და მის მარჯვენა მხრიდან ბეწვი ააცალა.

— ალბათ გზაში დაგეცათ, შოფერის გაუფრთხილებლობით უნდა იყოს ხე, ხე, ხე.

დირექტორმა ტუჩი ჩაიკენიტა და ალმაცერი ღიმილით გადახედა.

— მოსდევს ანკესს, — გაიფიქრა ჩაჩანაკმა, — ესამოვნა და გაიღიმა.

ორიოდე საქმიანი სიტყვის შემდეგ, ჩაჩანაკმა ისეთ თემაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ ძალის ხსენება ყოფილიყო შესაძლებელი.

— წყნარ ქუჩისზე ჩვენი დაწესებულება, — სთქვა დირექტორმა.

— დაახ, ესე იგი... ჩინებული ქუჩაა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ხანდახან ძალის ყეფა ისმის ხოლმე თუმცა...

— თუმცა რა?

— თქვენ ალბათ, როგორც მონადირეს... მითხრეს ნადირობა გყვარებიათ...

— ისე, ხანდისხან, დროს მოსაკლავად.

— დიახ, დროს მოსაკლავად ხე, ხე, ხე... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩინებული ძალდი გყოლიათ, წმინდა პოინტერი უნდა იყოს, თუმცა სეტერს უფრო ჰგავს, რომელსაც დობერმან-პინჩერის სისხლიც ეტყობა.

დირექტორი ვერ მიუხვდა.

— მერე, როგორ ალერსიანია... დაუძახე თუ არა, მაშინვე მიტნო, კუდის ქიციანი დაიწყო. უმაღლვე გავეცი განკარგულება, რომ ძეხვები და ფუნთუში ექმიათ, იმედია არ აწყენს, ხე, ხე, ხე...

დირექტორი დაიბნა.

— ჩემი ძალი? — სთქვა დირექტორმა, — მე ძალი არა მყავს.

ჩაჩანაკი გაშრა.

— მაშ... ის ძალი... განა არა, მაშინვე ვსთქვი, ამისთანა ქეციან ძალს როგორ იკადრებდა ამხანაგი დირექტორი მეტქი. თუ ნებას მიბოძებთ, ამ წუთში მოვალ...

ჩაჩანაკი ტყვია-ნაკრავით გავარდა კორიდორში, საიდანაც ძალის წკავწკავი და თვით ჩაჩანაკის ღრიალი მოისმა.

— გაეთრიე, საბრაზვე, საიდან შემოხეტებულა ეს ქეციანი. — ისმოდა ლუარსაბის მრისხანე ხმა.

დირექტორი ჩაფხუტაძე მიხვდა საიდუმლოებას და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს მლიქვნელობის უდავლ ნიმუშია, ენახოთ რა ყმაწვილთან გვაქვს საქმე...

— საკვირველ დაუდევრობას იჩენს ჩვენი დარაჯი. ქეციანი ძალი შემოუხვდა და წყნარ სიტყვებაში... საერთოდ, სიტყვები უფრო მეტად ვახლავთ, უპარტიოა...

— თქვენ? — მოუჭრა დირექტორმა. — თქვენ პარტიული ხართ?

— არა. მე ასე ვსთქვით ხი, ხი, ხი, — თანამგრძობთა ჯგუფში ვაპირებ შესვლას.

დირექტორმა გაიციანა.

ჩაჩანაკმა ჩაიციანა და ისეთივე მოძრაობაში მოვიდა თითქოს კუდის ქიციანი დაიწყო. ამ დროს კაბინეტის ღია ფანჯრის წინ ახლად შეფოთილ ხეზე მოლაღური შემოვლიდა. ჩაჩანაკს კვლავ საშუალება მიეცა „საქმეზე“ გადასულიყო:

— საკვირველია, თითქოს ბულბულმაც იგრძნო თქვენი მოსვლა და მოფრინდა, რომ სმენა დაგიტკბოს.

— ეგ ბულბული არ არის, მგონი შოშია უნდა იყოს.

— დიახ, შოშია, ნამდვილი შოშიაა, როგორ ვერ ვიცანი?

— მე მგონია, ბოლოცეცხლს უფრო ჰგავს.

— დიახ, ზედ გამოჭრილი ბოლოცეცხლაა, თქვენ მართალს ბრძანებთ ხე, ხე, ხე.


— შეიძლება ასეა, მაგრამ მე ფრინველებში იადონის მეტი არაფერი მიყვარს, — მშვენიერი ჩიტია, ჩინებული გალობა იცის, სახლში მყავს იადონი და როცა გარეთ გამოვდივარ, გული არ მიძლებს.

ჩაჩანაკს რალაც შინაგანმა აზრმა გაუბრწყინა შუბლი.

იმ ღამეს, გათენებამდე, იგი ვარჯიშობდა და იადონისებურ სტვენა-გალობას სწავლობდა. მეორე დღეს კი მისი განკარგულებით ნიახურტრესტის აღრიცხვის სექტორის კარებზე ასეთი წარწერა გამოაკრეს:

„ნიახურტრესტის დირექტორ ამხ. ჩაფხუტაძის იადონის სახელობის აღრიცხვის სექტორი“.

საკუთარ მაგიდაზე დადგმულ ტელეფონსაც მიაწვება წარწერა: „ამხ. ჩაფხუტაძის“.



იადონის სახ. ტელეფონი“. მცირე ხნის შემდეგ ასეთივე წარწერები გაჩნდა ნიახურტრესტის საყინულეზე, კაბინეტში დადგმულ პალმაზე, წიგნის თაროზე, სამელნეებზე და თითქმის ტრესტის მთელ ინვენტარზე. ხოლო, როცა დირექტორი ჩაფხუტაძე დაწესებულებაში დაბრუნდა და თავის კაბინეტში



მიწერილი თელავის მე-3 სრ. საშუალო სკოლის მასწავლებელ მამიკონ გრიქორიანის მიერ სოფ. ჭალოვანის (ჭიათურის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის დირექტორ კალენიკე ლაბაძისადმი.
სალამი უცნობო, მაგრამ გულითადად მეგობარო!
გაზ. „ჭიათურის მადაროელის“ №36 შენს შესახებ შემდეგი ცნობა წავიკითხე:

ლებლებსაც უდიერად ეპყრობა. ამას წინადა იგი მიუყვარდა ბინაზე სკოლის დამლაგებელს და სცემა. პროკურორი თხოულობს მის სახიდანოდ დასჯას“.

ეს კიდევ რაა! ნახე ყურ. „ნიანგის“ ეს ნომერი, რომელშიაც აი რა არის შენს შესახებ მოთავსებული:

ძველი სკოლის ცემა-ტყემა მამიკონმა აღადგინა, მოწაფეებს ავი სიტყვით არა ერთხელ შეაგინა. ზოგს ცხვირი და ზოგსაც ყური თავზე აღარ შეარჩინა. სკოლას როდის მოშორდება ეს ბრიყვი და ყოყლოჩინა.

„სოფ. ჭალოვანის ა. საშუალო სკოლის დირექტორი კალენიკე ლაბაძე ლოთობს და ხშირად აცდენს გაკვეთილებს. ეს აცნობებს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც ლაბაძე გააფრთხილა: მოწაფე ხუციშვილმა გიჩივლაო. დირექტორმა მოწაფეს არ აკმარა გამორიცხვა, გალემილი მიუყვარდა ბინაზე, გაუფუჭა წითელი კუთხე და გამოსტაცა ქების სიგელი“.

წარმოდგენილი მაქვს შენი ახლანდელი მდგომარეობა. ამ შენს საქციელს ცუდად გამოეხმაურებოდნენ შენი სკოლის მასწავლებლები. ამიტომ შევდივარ რა შენს მდგომარეობაში, მე მზად ვარ დავეტოვო აქაური ჩემი სამსახური და წამოვიდე შენს სკოლაში მასწავლებლად.

მ. გრიგორიანი

ჰოდა, ჩემო მამიკონ, მეც წარმოდგენილი მაქვს შენი ახლანდელი მდგომარეობა, მაგრამ კი ხედავ ჩემს მდგომარეობასაც. მეც შევდივარ შენს მდგომარეობაში, როგორ შენც შედიხარ ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ მეც ისევე გამოვდივარ შენს მდგომარეობიდან, როგორც შენც გამოდიხარ ჩემს მდგომარეობიდან, ვინაიდან ორთავეს ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს და ერთმანეთის მდგომარეობაში შესვლა-გამოსვლით ერთმანეთს ვერაფერს დავცემარებით.

კ. ლაბაძე

მიწერილი სოფ. ჭალოვანის ა. საშუალო სკოლის დირექტორ კ. ლაბაძის მიერ თელავის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. გრიქორიანისადმი.

მივიღე, მეგობარო მამიკონ, შენი წერილი! ის იყო, წერილი უნდა გამოემგზავნა შენთვის, რათა დაუყოვნებლივ გამოემგზავრებულყავი შენკენ, მაგრამ ამ დროს მაქაურ გაზ. „კომმუნურის ხმის“ №29-ში შენს შესახებ ასეთი ცნობა წავიკითხე:

წერილი მიწერილი სოფ. გაგანის (ყვარლის რაიონი) ა. სრ. საშუალო სკოლის მასწავლებელ ვალერიან ჯღარკავას მიერ გრიქორიანისა და ლაბაძის მიმართ.


უცნობო მეგობრებო!

„უმიზეზოდ სცემა ქ. მინდიაშვილს, რის გამოც სასამართლომ მიუსაჯა იძულებითი მუშაობა. მოწაფეებში შეაგროვა ფული ვითომდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად და მიითვისა. გამოიტანა მასწავლებლების ხელფასი და არ დაურიგებია. თვითნებურად აცდენს გაკვეთილებს. სასამართლოში ხშირია მის მიმართ საჩივარი ფულების დატყუილებისათვის“.

აი ასეთია ჩემი მდგომარეობა. თუ ვინცობაა სადმე ერთად მოეწყობო რომელიმე სკოლაში, საჩქაროდ მაცნობეთ და დიდი ხალისით წამოვალ თქვენთან. ჩვენ სამნი ერთად, წმინდა სამება ერთ არსებად, რას არ შევძლებთ! ვინ რას დავგაკლებს! ახლა კი, როცა ცალცალკე ვართ, ჩვენი დამარცხება არც ის ძნელი საქმეა. აბა თქვენ იცით. არ დამივიწყოთ!

ვ. ჯღარკავა

წერილების ხელში ჩამგდები და გამომკვეყნებელი ისარჩი.



„მასწავლებელი მამიკონ გრიქორიანი, რომელსაც თავი „ძველ ფიზკულტურელად“ მოაქვს, მოწაფეებს სცემს, აგინებს და მასწავ-“

სამუშაოდ ჩაიკეტა, მეზობელ ოთახიდან მას იადონის ჟღერტული და ვალობა შეესმა.

ეს ლუარსაბ ჩაჩანაკი ღრუტულედა ზფროსის სასიამოვნოდ.

— საიდან ისმის ეს ვალობა? — შეეკითხა დირექტორი ზარის ხმაზე შესულ შიკრიკს.

— ჩვენი საქმეთა მმართველი გასიამოვნებთ ამხ. დირექტორო.

— როგორ! იადონი მოიყვანა დაწესებულებაში?

— არა, თვითონ გაიადონდა... ასე იცის ხოლმე, ზოგთან ბუღბუღია, ზოგთან იადონი, როგორც საქმეს დახედავს.

გამოუძახეს პარტორგს.

ამ სიტყვებზე პარტორგი ვაჟიდა, ხოლო ჩაფხუტაძემ ბრძანების წერა დაიწყო:

ათი წუთის შემდეგ ნიახურტრესტის კანცელარიაში ხმამაღლა კითხულობდნენ № 1 ბრძანებას:

„მოიხსნას თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ნიახურტრესტის საქმეთა მმართველი ლუარსაბ პროკლეს ძე ჩაჩანაკი — მლიქვნელობისათვის.
დირექტორი ჩაფხუტაძე“.

ჩაჩანაკის კაბინეტში კი სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს, — მოულოდნელობამ მას დამბლა დასცა.
ფარსადანი.

ორი გმირი

„გამარჯვებული“

სიღნაღის რაიონმასკომის საგზაო განყოფილების გამგე, მარტო ფართო ფართო სიტყვებს ხარჯავს საგზაო მშენებლობაზე და გეგმის შესრულება კი 11 პროც. აქვს:

საგზაო განყოფილებას გამგე ყავს მირონ-ცხებული, ტანად ვაჟკაცი, მოსული, მესტიაშვილი ქებული.
„გზა გაყავს! მხარეს აყვავებს“,

საქმეთა წინ წაძლოლითა, ათ პროცენტს ვადაჰარბა „უნარიანი“ ბრძოლითა...

ზარალი

აბაშის რაიონმა საგზაო მშენებლობის გეგმა 2 პროცენტით შეასრულა:

ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო, გზის შენების საქმეებში გამოვდექით ზარალიო!

წყულო.

„მუენელო“

ცხაკიას რისაბუოს საგზაო განუ. გამგემ ს. კოკიაძე
საგზაო მუენელოზის საკომპენსაციო თანხები დგინა
გაფლანგა. **მუენელო**
გეგლირთეკა
წყეული.

ნახ. ლონის



საგზაო განუოფილეზის გამგე კოკიაძე და მისი საგზაო
„მუენელოზის“ გამგე



— წელს კისლოვოლსკში მკურნალობა აღარ დამჭირდება.
 — რატომ?
 — აქვე ჩამოვხმები უსუთების წინ, სანამ ფარული არჩევნების შედეგებს გავიგებდე.

ნახ. ღონის.



ერთი აქლემი ჰყავდა მათიას, მაგრამ მან ცდამინც ვერაფერში გამოიყენა.

გადასწყვიტა მისი გაყიდვა და ქალაქში წაიყვანა.

— აქლემი რომ გაყიდო, ერთი ნემსი მიყიდე და მომიტანე. — დაუბარა ცოლმა მათიას.

— სად მიგყავს, მათია, მაგ აქლემი? — შეეკითხა მეზობელი.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად. — მიუგო მათიამ.

— აქლემი ვის რად უნდა? რა მოსახმარია? აი მესმის კამეჩი, მე რომ მყავს ისეთი. ხელიდან გამოგტაცებენ. თუ ძალიან დამიმადლებ, გადაგიცვლი კამეჩს აქლემზე. — წინადადება მისცა მეზობელმა.

მათია ჯერ დაეჭვდა, მაგრამ დაუჯდა მეზობლის რჩევა და აქლემი კამეჩზე გადაცვალა.

* *

— სად მიგყავს, მათია, მაგ კამეჩი? — შეეკითხა მეორე მეზობელი, რომელსაც ცალი ხარი მიყავდა.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად. — მიუგო მათიამ.

— მე ქალაქიდან მოვდივარ. აუარებელი კამეჩია გამოყვანილი, მაგრამ არავინ ყიდულობს. ხარი რომ გყავდეს გასაყიდად, ხელიდან გამოგტაცებენ.

— თუ კი მასეა, შენ რატომ ვერ გაგიყიდინია მაგ ხარი და შინ მიგყავს?

— როგორ თუ ვერ გამიყიდინია. წყვილი ხარი მყავდა. არ მინდოდა მათი გაყიდვა, მაგრამ შემომძვინკვეს მუშტრები და ცალი ხარი ხელიდან გამომტაცეს, ძალით გამაყიდვინეს, ეს ცალი ხარი ძლივს გადავარჩინე.

— შენ გგონია ვერ გაგიყიდი ამ კამეჩს! კამეჩი ხომ ხარზე უკეთესია?

— ვინ გითხრა მაგ ამბავი. კამეჩს ხარი სჯობია. სიტყვში კამეჩი ჩაგიწვება წყალში და ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

— ეს კი მართალია.

— მეცოდები, მათია, და თუ დამიმადლებ მაგ კამეჩში ამ ხარს გადაგიცვლი.

მათიას მოეწონა შემოთავაზებული წინადადება და ბევრი არ უფიქრობა — კამეჩი ხარზე გაუცვალა.

* *

— სად მიგყავს, მეგობარო, მაგ ცალი ხარი? — ჰკითხა მათიას ერთმა სოფელელმა, რომელსაც ძროხა მიყავდა.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად.

— ცალ ხარს ვინ იყიდის. ხარი ძროხა ხომ არ არის, რომ ცალი იყიდოს კაცმა.

მათიას ელდად ეცა სოფელელის ეს სიტყვები.

— იცი რა გითხრა, ჩემო მეგობარო? თუ ძალიან დამიმადლებ, მაგ ხარში ამ ძროხას

მოგცემ. შინ ცალი ხარი მყავს, სწორედ მაგ შენი ხარისთანაა. რად გინდა ცალი ხარი. ხარი არ იწველება, ძროხა კი რას არ იძლევა: რძე, ყველი, ერბო, კარაქი, ნაღული და სხ. ჰოდე, თუ ძალიან გინდა, გადაგიცვლი ამ ძროხას მაგ ხარში.

მათიას ბევრი აღარ უყოყმანია — ხარი ძროხაზე გადაცვალა.

* *

— სად მიგყავს, ძმობილო, მაგ ძროხა? — შეეკითხა მათიას სხვა სოფელელი. რომელსაც კვიცი მიჰყავდა.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად.

— შე კაი კაცო, ძროხის მეტი რა არის ქალაქში გასაყიდი. ვის რად უნდა შენი ძროხა, როცა ყველგან იზოვნება რძე, ყველი და კარაქი. მესმის, კვიცი რომ მიგყავდეს გასაყიდად. აი ახლა მე ბაზარში გამოვიარე — უკან დამედევნენ — მოგვიყიდე კვიციო, მაგრამ რა შევილი მივყიდი. კარგი ძროხაა მაგ შენი ძროხა, მაგრამ გაყიდვით მაინც ვერ გაყიდი.

დაღონდა მათია.

— რამ დაგაღონა. ჩანს შენ ფული გესაჭიროება. ჯანიც გავარდეს, ძნელია და საზარალო ჩემთვის, მაგრამ კვიცს გაგიცვლი ძროხაში.

მათიამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და ძროხა კვიცზე გადაცვალა.

* *

— სად მიგყავს, კეთილო, ეგ კვიცი? — შეეკითხა მემამუწენე, რომელსაც ქალაქში მაწონი უკვე გაეყიდა და ვირზე შემჯდარი შინ ბრუნდებოდა.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად.

— ტყუილად მიგყავს, ვერ გაყიდი. ვის რად უნდა შენი კვიცი. ვირი რომ მიგყავდეს გასაყიდად, მესმის, შენც ჩემსავით შემოგესიოდნენ, მოგვიყიდე ვირიო.

— განა ვირს კვიცი არ სჯობია!

— არსად წამოგცდეს ეს სისულელე, თორემ დაგიჭერენ და საგოფეში მოგათავსებენ. სად ვირი და სად კვიცი? იცი შენ რა არის ვირი? ვირით მოგზაურობდა ქრისტე. ხომ ხედავ როგორი ჭკვიანია? როგორ არის დაფიქრებული. შენი კვიცი კი ხტუნავს, ვერ ისვენებს. თუ არ მწყემსე, შეიძლება ხრამში გადიჩეხოს. ვის რად უნდა მასეთი ხეპრე?

— თუ გინდა, გადამიცვალე მაგ ვირში. — წინადადება მისცა მათიამ.

— რას დამითავებ?

— არაფერს.

— აბა არ მინდა. — და მემამუწენე დააპირა წასვლა, ვირს მათრახი შემოჰკრა.

— რა დაგიმატო? — შეეკითხა მათია.

— მაგ შენი ვერცხლის ქამარი.

— ჯანიც გავარდეს. — დაეთანხმა მათი და კვიცი ვირზე გადასცვალა.

— სად მიგყავს მაგ ვირი — შეეკითხა მათიას მეზობელმა, რომელსაც ცხვარი მიყავდა გასაყიდად.

— ქალაქში მიმყავს გასაყიდად.

— ქალაქში ვირი ვის რად უნდა! ქალაქში ცხვარი უნდა წაიყვანო გასაყიდად და არა ვირი.

— ეგ მართალია. — გაიფიქრა მათიამ და გაცვლაზე ჩამოუფედო ლაპარაკი.

მეზავრს ბევრი აღარ ულაპარაკნია, რადგან თურმე, ცხვარი უნდა გაეყიდა და ვირი ეყიდა.

შეთანხმდნენ და გადაცვალეს.

—

ქალაქს უახლოვდებოდა მათია, რომ სოფელი შეხვდა. სოფელელს თხა მიყავდა.

— სად მიგყავს მაგ ცხვარი? — შეეკითხა იგი მათიას.

— გასაყიდად მიმყავს ქალაქში.

— ცხვრები უამრავია გასაყიდად, მაგრამ არავინ ყიდულობს. თხა რომ მიგყავდეს გასაყიდად, ხელიდან გამოგტაცებდნენ.

— შენ რატომ ვერ გაგიყიდა და რატომ მიგყავს შინ? — შეეკითხა მათია.

— მე ეს ვიყიდე, ძლივს ვიზოვნე, მხოლოდ ეს ერთი იყო. — იცრუა სოფელელმა, რომელსაც თხა ვერ გაეყიდა და შინ მიყავდა.

— გავცვალოთ თუ გინდა. — წინადადება მისცა მათიამ.

— მაგ შენი ქუდი დამიმატე და გადაგიცვლი, რადგან მეცოდები. ხომ ხედავ ამ ჩემს თხას რა მშვენიერი წვერები აქვს ხუცესსავით. მაგ ცხვარად მარტო მისი წვერები ღირს. მათია დათანხმდა, ქუდი მისცა და ცხვარი თხაში გაუცვალა.

* *

როცა ბაზარს მიუახლოვდა, მელორე შეხვდა. მელორეს ხელში გოჭი ეჭირა.

— სად მიგყავს მაგ თხა?

— ბაზარში გასაყიდად.

— არ შეგიშვებენ თხით.

— მაშ რა ექნა?

— თუ გინდა გოჭში ვადამიცვალე, გოჭს კარგ ფასში გაყიდი. მათიამ თხა გოჭში გადაცვალა.

* *

— ჰყიდი მაგ გოჭს? — შეეკითხა მათიას მოქალაქე, რომელსაც ხელში ლეკვი ჰყავდა.

— ვყიდი.

— ვერ გაყიდი. თუ ფული გინდა, ამ ლეკვში ვადამიცვალე, მეძებრის ჯიშისაა, ლეკვს ყველა იყიდის და ფულსაც არ დაიზარებს.

მათიას ჰკუთავი დაუჯდა ეს წინადადება და გოჭი ლეკვზე გადაცვალა.

0.11-1



— საათნახვერის წინ სასწრაფო დახმარების ავტოს გამოვუძახე...
— ნუ ღელავთ ორ კვირაზე მეტს არავითარ შემთხვევაში არ დაიგვიანებს.

— შე კაი კაცო, ლეკვი რომ წამოგიყვანია გასაყიდად, კატა ვერ წამოიყვანე ჩემსავით? ვის რად უნდა ძალლი და ისიც ლეკვი. მესმის კატა, თაგვებს დაიჭერს. ასე კატიდან ეს ერთი-ლა დამრჩა გაუყიდავი. — იცრუა ქალაქელმა, რომელსაც კატა ვერ გაუყიდა ბაზარში.

— თუ გინდა, გავცვალოთ. — წინადადება მისცა მათიამ.

— რას ამბობ! გიჟი ვარ კატა ლეკვში გადავიცვალო! თუ რამეს დამიმატებ, მაშინ ვნახოთ.

— რა უნდა დავიმატო?

— აი მაგ ხალათი დამიმატე, ტანზე რომ ვაცვი, და გადავიცვლი. იცი კატები დღეს რა ფასებში იყიდება? სწორედ ცხენის ფასი აქვს.

მათიამ ხალათი გაიხადა მისცა მას და მოხდა ლეკვისა და კატის გადაცვლა.

*

ბევრი იარა ბაზარში მათიამ, მაგრამ კატა ვერ გაყიდა.

ბოლოს ერთი მეჯღანეს მიადგა.

— მშვენიერი კატაა, ხომ არ იყიდი? — უთხრა მეჯღანეს.

მეჯღანეს კატები უყვარდა, ბლომდაც ჰყავდა, მაგრამ კატა ფულით არასოდეს უყიდიდა.

— ამ სადგისს მოგცემ მაგ კატაში. — უთხრა მან მათიას.

— სადგისი რალად მინდა?

— ქალამანს შეიკერავ, წაღებს გაკერავ და სხვა რამეშიაც გამოვადგება.

— ჰო, ეს კარგია. — მოეწონა მათიას და კატა სადგისში გადაუცვალა.

ის იყო მათიამ შინ დაბრუნება დააპირა, რომ მოაგონდა ცოლის დაბარება — ნემსი მიყიდეო.

მივიდა ერთ მეწვრილმანესთან და სადგისი ნემსში გადაუცვალა.

მათიამ მხოლოდ ახლა იგრძნო თავისი კომერციული ოპერაციების შედეგი.

— მოდი, ახლა ისევ დავიწყებ გადაცვლას ნემსიდან და ჩემს აქლემს დავიბრუნებ. — გადასწყვიტა მან და მივიდა მეწვრილმანესთან.

*

— ძმობილო, ეს ნემსი სადგისში გადამიცვალე. — უთხრა მეწვრილმანეს.

— გიჟი ხარ! — შემოწყრა მეწვრილმანე.

— სადგისში კატას თუ მომცემ? — შეეკითხა მათიამ მეჯღანეს.

— მეხუმრები?! — დასცინა მეჯღანემ.

— კატაში ლეკვს თუ მომცემ? — მიმართა მათიამ ვალაქელს.

— სულელი გგონივარ?!

— ლეკვში გოქს არ გამიცვლი? — უთხრა სოფლელს.

— გოქში თხას არ მომცემ?

— გიჟი ხომ არა ვარ!

— თხაში ცხენს არ გადამიცვლი?

— გაიარე, გაიარე!

— თხაში ცხვარს არ გადამიცვლი?

— გაიარე, გაიარე!

— ცხვარში ვირს არ მომცემ?

— ხუმრობ თუ სულელობ!

— ვირში კვიცს არ გამიცვლი?

— კვავზე თუ ხარ შენ!

— კვიცში ძროხას არ გამიცვლი?

— რას ჩერჩებობ!

— ძროხაში ხარს არ მომცემ?

— აბა, რას მიქარავ!

— ხარში კამეხს არ გადამიცვლი?

— შენ გიჟი ხომ არა ხარ?!

— კამეხში აქლემს არ გადამიცვლი?

— აბა ვის უქნია ეს სისულელე, რომ მე ვქნა! — მიმართა მას სოფლელმა, რომელსაც ბაზარში აქლემი მოეყვანა გასაყიდად.

— მე გადავცვალე აქლემი — კამეხში.

— მე კი ვერ ვიხამ მაგ სისულელეს! — უთხრა სოფლელმა მათიას.

— ამ ხალხის ვერაფერი გამიგია. წელან აქლემს კამეხი სჯობდა, კამეხს — ხარი, ხარს — ძროხა, ძროხას — კვიცი, კვიცს — ვირი, ვირს — ცხვარი, ცხვარს — თხა, თხას — გოჭი, გოქს — ლეკვი, ლეკვს — კატა, კატას — სადგისი და სადგისს კი — ნემსი. ახლა კი... ველარაფერი გამიგია ამ ხალხის!

მიდიოდა მათიამ სოფლისკენ და ფიქრობდა. ფიქრებში რალაც ანდახაც კი მოაგონდა: — „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე...“ და შემდეგ ვერც ანდახის გაგრძელება მოიგონა.

— ნემსი მომიტანე? — კითხა ცოლმა.

— ისეთი ნემსი მოგიტანე, რომ მის ყუნწში აქლემი გაძვრა.

— აბა მაჩვენე!

— ამ წუთში. — და მათიამ ჯიბეში დაიწყო ნემსის ძებნა. ბევრი ეძებდა, მაგრამ ვერსად იპოვნა.

— რა უყავი, კაცო, აქლემი და ნემსი?

— აქლემი ნემსის ყუნწში გაძვრა, ხოლო შენი ნემსი ჯიბის ხვრელში გამძვრალა და დაკარგულა!

რა ამბავს დაუწევდა ცოლი მათიას, ამას ყველა მიხვდებოდა.

ნამი

კუკუშოროვარ მოქალაქეთა პროტესტი



რაფიელ ცერცვაძეს ვაჟი დაებადა. რიგით მეშვიდე.

— შენ გენაცვალე სოფიკო! — ქალი კი არა, ოქრო ხარ... მზითევი არ მოგყოლია და გემდურდი... რა სულელი ვიყავი?! მზაფრ-ვია, აბა რა არის შვილი შვილი! — აქაც იყო ათასი ჯილდო! ვენაცვალე ჩვენს მთავრობას!

— შეჭარბდა ცოლს ალტაცებული რაფიელი.

— რას არქმევ მაგ ბიჭს რაფიელ? — ეკითხებოდნენ მეზობლები.

— სახელის მეტი რაა შე კაცო, თუმცა ამდენ შვილში სახელიც გამოიშლია!..

— სილიბისტრო დაარქვი ძამია!

— ივანე სჯობს!

— ექვთიმე ცულია თუ?

— ივლიანე რაღა ნაკლებია?

— არა ძმაო, სახელი ისეთი უნდა დავარქვა, რომ უკეთესი აღარ მოიძებნებოდეს... ივანე, პეტრე, არხიპო... ეს მოძველებული სახელებია... აგერ ბიძაშვილი მყავს თბილისში, ილიკო გენძეხაძე, ნასწავლი კაცია, უმველებელი თანამდებობა უჭირავს. შვილსაც დიდებული სახელი დაარქვა... ისეთი მინდა მეც!

— რა თანამდებობაზეა მართლა ილიკო გენძეხაძე!

— რაზეა და... რაფიელმა ილიკოს წერილი ამოიღო. იგი ბლანკზე იყო დაწერილი. ბლანკის ზემოთ ეწერა:

— „ილიკო გიგოსძე გენძეხაძე. სსრ კვების სახალხო კომისარიატის საგეგმო-ეკონომიური სექტორის მომარაგების, ქვე-სექციის სატრანზიტო სექტორის კანცელარია, უფროსი ექსპედიტორის საგანგებო დავალებათა ინსტიტუტის არქივარიუსი“.

— ოჰო, ოჰო, ოჰო! რა დიდი კაცი ყოფილა ეს ჩვენი ილიკო?!

— ჰო და ასეთმა კაცმა თავის შვილს დაარქვა ოტელო. ოტელო გენძეხაძე... ცულია? მერე და მე რა მიჭირს, რომ ასეთი გამოგნახო!..

მართლაც გამონახა რაფიელმა. მამაში ჩააწერინა: რიჩმონდ რაფიელის ძე ცერცვაძე. გაიგეს რაფიელის ამბავი. დაფაცურდნენ მეზობლები. მათაც ჰყავდათ ახლად-შეძენილები. ზოგი ახლა მოელოდა.

— რა დაარქვა რაფიელმა? რიჩმონდი? კარგი და კეთილი. ვნახოთ, ნაკლები იქნებ არც ჩვენ ავირჩიოთ. — დაიტრახა შერბაქო იოსავამ და თავის პატარა ქალიშვილს ჩინებულ სახელი აურჩია:

„კლეოპატრა“.

— ჰმ! კლეოპატრა დაარქვა არა? — ირონიით ჩაილაპარაკა დიოგენ მადლაკელიძემ. — მაგას ვაჩვენებ სეირს. ჩემს გოგოს ვარქმევ:

— „აბრიკოტინას“.

ამრიგად, ერთიმეორის ბაძვაში მეზობლებმა უცნაური სახელები დაარქვეს ძუძუძუშობიარ ბავშვებს, რომელთაც ჯერ მართალია, არაფერი გაეგებათ, მაგრამ იმდენს მაინც ახერხებდნენ, რომ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადეს და აღარაფერს სჭამდნენ, — რძის ვარდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგმა კიკაშორაც დაარქვა ბავშვებს, რაც ქართულად ვგონებ ტიკინას ნიშნავს...

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ძუძუძუშობიართა უკმაყოფილება უმწვერვალესამდე ავიდა, იქ მოთმინების ფიალა ვადმოიღვარა

და შემდეგი პროტესტის სახელი შეიკრულა გილობრივ მმარს:

საპროტესტო ნოტა

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელისმომწერნი ძუძუძუშობიარნი, ვაცხადებთ კატეგორიულ პროტესტს ჩვენთვის შეუფერებელი სახელების დაარქმევის გამო. განა ჩვენს ხალხს სახელები გამოელის? რას ჰგავს, მართლა, როცა ახალგაზრდა კაცს, რომელიც დღეში ორ ბოთლ რძეს თავისუფლად სვამს, სახელად რეკვიც უწოდონ? ნუ თუ არ შეიძლება დაგვიძახოთ მირიან, კირილე, გიორგი, სვიმონ, დავით, ვალერიან და ან ახალი, საუცხოვო სახელები, რომლებიც ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ წარმოშვა?

ჩვენ მოვითხოვთ მშობლებისაგან, დაუფიქრდნენ ამ საკითხს და ჩვენ თუ დაგვიჩარეს „პალესტინობით“ და „დანტესობით“, ჩვენს დაძმებს დაარქვან გასაგები, ხალხური, სახელები“.

საპროტესტო წერილს ხელს აწერენ პოლიანდრია ანაპოდისტეს ასული ქვიშვილი, კრემატორ აბზიანიძე, ანათემა ჯვებესძე ჭიბაძე, ჰამლეტ გრიგოლის ძე კროჭი, ლიბრეტო იობის ასული მიქაუტაძე, ახილეს გახუს ძე ჯაგრიშვილი, რუმინია ფილიპეს ასული რეხვიაშვილი, ოდისეი მელიტონის ძე კუბრაიანი, ანაკრონტ ბაგრატიის ძე ბუოდგლაშვილი, მამულუკ ფიჩხაძე, აგრესორ პიტნავა გრეჩინა პაპანაქებაშვილი, რეკვიც ვარყუმაძე, ფორსმაყორ ნიჭიერაძე, პოლიკლინიკა ბორჯიან და ტროლეიბუს ფიჩხაძე.

ტერსიტა

გ ა კ ვ რ ი თ

ოქსაფთსამმარკელო

რუსთაველის პროსპექტზე №30-ში მოთავსებულია საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს მალაზია № 2, რომლის აბრას „ამშვენებს“ შემდეგი წარწერა.

პარფიუმერია და კოსმეტიკა
მალაზია №2
ოქსაფთსამმარკელო

ჩვენ ვერ გავიგეთ რას ნიშნავს ეს წარწერები და მივმართავთ ნიანგს, იქნებ მან აგვიხსნას თუ რას ნიშნავს ეს წარწერები?

შავი

„უკვლავი“ პლაკატები

მოსახლეობის აღწერას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უკვე ორთვეზე მეტია რაც ჩატარდა უდავოთ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოვიდა თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თბილისის ტრამვაის ვაგონების კედლებს დღესაც ამშვენებს შემდეგი ხასიათის პლაკატები:

1937 წლის 6 იანვარს
მოსახლეობის აღწერის მუშაებში ნაბჭოთა

კავშირის თითოეულ მცხოვრებზე შეადგენენ სააღმწერლო ფურცელს.

საბჭოთა ქვეყნის მოქალაქენო.

აღმოუჩინეთ აქტიური დახმარება აღწერის მუშაებს.

ამხ. ნიანგო, აღმოუჩინე აქტიური დახმარება ქალაქის რკ. ვზის დირექციას.


ხრუმ

გაკვრიოთ

გურჯაანის რაიგაზეთს „კოლექტიურ შრომას“ მე-2 ნომერში ე. ტერტეროვის ასეთი ლექსი აქვს დაბეჭდილი. დიდი გენიოსის რუსთაველის შესახებ.

„მისი“ ვეფხის ტყაოსანი“
სადა ნახავთ რომ არ არი,
თაობიდან თაობაში
დასრიალებს(!?) როგორც ქარი?“

ჩვენის აზრით ზოგიერთი „პოეტის“ ლექსებს შეეფერება სრიალი... სანაგვე გოდორში.



პრიტიკოსი: — ჩვენს დრამატურგებში ორი მწერალი ვიცი, რომელიც თავისი ნიჭით შექსპირს აღემატება.
დრამატურგი: — ვინ არის მეორე?

3. ტოპოლიაკოვი

პატარა მოთხრობები

(თარგმანი)

საკუთარი წარმოდგენით

დახარალებული

კრება უნდა დაწყებულიყო. დარბაზი ხალხით იყო გაკედილი. ეგორ კუზმიჩი პირველ რიგში იჯდა. შეხედა პრეზიდიუმში მჯდომ ხუთ კაცს და უკმაყოფილოდ ჩაულაპარაკა თავის გვერდზე მჯდომს:
— როგორ გავხსნათ კრება! რაშია საქმე, მხოლოდ ხუთი კაცია!
— რას ამბობთ! აბა მიიხედეთ...
— ააა... — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ეგორ კუზმიჩმა. — სულ დამავიწყდა, რომ მე პრეზიდიუმის მაგიდაზე აღარ ვზივარ. მიჩვეული ვიყავი პრეზიდიუმის მაგიდიდან პირდაპირ დარბაზის ცქერას... დღეს კი პრეზიდიუმში აღარ ამირჩიეს...
— ვიცი, — სერიოზულად უპასუხა გვერდით მჯდომმა.
— დღეს პრეზიდიუმში აღარ ამირჩიეს, ხვალ კიდევ ვინ იცის კიდევ სადმე არ ამირჩიონ...

— დაიწყეს ახლა წერა არა გადარჩევების შესახებ, არამედ „ქარხნის არჩევნები“, „პარტკომის არჩევნები“...
— მერე რა? ძალიან კარგია!
— რა არის აქ კარგი! მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი შრომა და ზედმეტი ხარჯი.
— ვინ ხართ თქვენ! რა მოხელე?..
— მე? ფოტოგრაფი მე...
ფოტოგრაფმა ლოყაზე ხელი შემოიდო და დაუმატა:
— კარგი დრო იყო. ვთქვით მიმდინარე გადარჩევები იყო... მე ვიღებდი ძველ ნეგატივს, ცოტა რეტუშს გაფუკეთებდი და ხელად ახალი ქარხნის სურათს მივიღებდი. ახლა კი სულ ახალი ხალხი მოგვევლინება და ხელახლა დამჭირდება მათი ვადალება. არაფერი თარი ეკონომია აღარ მექნება...
და ფოტოგრაფმა ამოიხსრა...



ესე როგორც თქვენს ეზოში, ჩემთანაც ზღბდა ხოლმე ზოგჯერ საკვირველი ამბავი. ერთი იმ ამბავთაგანია ეს ჩემი მოთხრობა, რომლითაც ვცდილობ რქებ კაუჭა, წვერებ-ცანცარა, უიღბლო თხის უფერული ბიოგრაფია გაიმართ...

ჩემი ოთახის გვერდით ცხოვრობს ახალგაზრდა ქალი — ზინაიდა. ძირითადი პროფესია არ გააჩნია: ზოგი მას პიანინოს დამკვრელად ასაღებს, ზოგიც ვაკვრით იტყვის ხოლმე ზინაიდას საუცხოვო ხმის შესახებ. სინამდვილეში კი მისი სიმღერა, ან პიანინოს დაკვრა ჯერ არავის გაუგონია. ერთი საბუთი, რაც ზინაიდას მუსიკოსობას აღასტურებს, ეს მუსიკალური ნოტებია: ყოველთვის ილღიაში ამოჩრილი დააქვს ზინაიდას ეს ნოტები.

ცხოვრებით მშვენიერად ცხოვრობს, საუცხოვოდ იცვამს, დედა არ აწუხებს, მამა, ქმარი და შვილი. ფნაჯარაში ყოველთვის ყვავილი უდგია ქოთნით. დილიდან საღამომდე ამ ყვავილს დასტრიალებს თავს: წყალს უსხამს, მზებზე გამოაქვს. დღე-ღამის დანარჩენ დროს კი ანდომებს თავის კერძო საქმეს რომელშიც მეზობლის კი არა ახლობელი ნათესავის ჩარევაც უზრდელობად ითვლება.

დაახლოვებით ოცდაათ წელიწადს იქნება მიახლოვებული ზინაიდა. ქალიშვილია თუ ქმარგაშვებული არავინ იცის: ისე კი, თვალეზზე ეტყობა არშიყი უნდა იყოს.

ჩვენი რქაჭაბუტა თხის ბიოგრაფია იმითი იწყება, რომ იგი, წვერებცანცარა ჭიჭიკო (ასე უწოდა მას პატრონმა შეძენის დღიდანვე) ამ სამი თვის წინათ ჩვენი ეზოს მკვიდრი გახდა. ეზოს მცხოვრებნი მაინც-დამაინც დიდის სინარულით არ შეხვედრიან ამ მოვლენას — ზოგს ეწყინა კიდეც და პატრონს, ჭიჭიკოს მყიდველს უსაყვედურეს:

— მაგის უსუფთაობა-და გვაკლდა ეზოში!

თხის პატრონი მათიკოს ეწყინა ეს საყვედური, მაგრამ მეზობლების ცეცხლზე ნავთი რომ არ დაესხა — ღიმილით სთქვა:

— რა ვქნა, უშვილო ქალი ვარ, თქვენ რომ თქვენი შვილები გიხარიათ, მე ჩემი ჭიჭიკოთი გავერთობი. უსუფთაობით არ შეგაწუხებთ მოვეუგლი.

რამდენად ნორმალურია ეს მოვლენა, არ ვიცი, მაგრამ იმის მოწმე კი ვარ, რომ მათიკო მართლაც შვილივით უვლიდა რქაჭაუჭა ჭიჭიკოს: სამ დღეში ერთხელ ჰბანდა, ვარცხნიდა, აჭმევდა ლეიბზე აძინებდა სამზარეულოში და წვერებს ყოველთვის სამწვერად უგრებდა. თხაც მთელი დღე დაბაკუნებდა და იყო; პეტელი არ უყვარდა, სამაგიეროდ სახლის სახურავიც კი არ გაუშვია დაუპრობელი, ფეხდაუდგმელი.

ჭიჭიკოს ასეთმა მეტიჩარობამ ერთიორად ააღელვა მეზობლები; მათიკოს ქმარს სიკოს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, მაგრამ

ოჯახის მოყვარულმა სიკომ არ გაყდა თხა, ვერ აწყენინა მათიკოს. კინაღამ ატირდა ამ ამბავზე მათიკო, შვილივით მიყვარს, როგორ დავეთმობო, ამბობდა.

ამასწინათ ფრად არასასამოცნო ამბავი მოხდა. ყველაზე საინტერესო და უკანასკნელი ამბავი საწყალ ჭიჭიკოს უფერულ ბიოგრაფიაში.

დასვენების დღეს ჩვეულებრივ წვერების ცანცარით გამოგომანდა ეზოში ჭიჭიკო: მტრებს გული გაუხეთქა, პატრონი გაახარა. და აი საათის თერთმეტს რომ ხუთი წამი აკლდა ასეთი რამ დატრიალდა ჭიჭიკოს თავზე:

ფეხების ბაკუნით ავიდა მეორე სართულის რკინის კიბეზე. აივანზე გაკუნტრუშ-გამოკუნტრუშდა და მერე მუსიკოს ზინაიდას ყვავილს ესტუმრა. დასუნა ყვავილს ჭიჭიკომ, სინარულისაგან თვალეზი მინაბა და ზინაიდას თვალისჩინს, გასაშლელად გამზადებულ ყვავილს ხრამახრუმი შეუყენა. სმენავამახვილებულ მუსიკოს — ზინაიდას მხედველობიდან არ გამორჩენია ეს მოვლენა; სასწრაფოდ წასწვდა იატაკის საწმენდ ჯოხს, რომელსაც კეტი უფრო უნდა ერქვას, და რქაჭაუჭა ჭიჭიკოს თავში უთავაზა. საწყალი ჭიჭიკო! ძლივლა გაახილა მინაბული თვალეზი და საქმის ვითარებაში გარკვევის შემდეგ ჯავრის ამოყრა მოინდომა მტერზე. თავი ჩაღუნა და მთელის ძალ-ღონით დაეტაკა მუცელში მოწინააღმდეგეს. ზინაიდა წაიქცა და კვნესით, ვაი-ვაგ-ლახით ძლივს წამოდგა ფეხზე. ხელმეორედ დასწვდა ხელკეტს, რამდენჯერმე უთავაზა თავში ჭიჭიკოს და ასე წააღებინა თქვენი ჭირი. მეზობელმა დანა გამოარბენინა და ყელი გამოჰლადრა.

ეზოში ერთი წრიალი შეიქნა მეზობლები გარედ გამოცვივდნენ. მათიკომ ქმენითაირბინა რკინის კიბეზე, ყელგამოღადრული ჭიჭიკო, რომ დაინახა თავში წაიშინა და საშინელი ტირილი მორთო. საქმე იმით დამთავრდა, რომ ზინაიდამაც და მათიკომაც უარი სთქვეს ჭიჭიკოს გატყავებაზე და ხორცის წაღებაზე. ამ ამბით საქმე გაუჩნდათ მეზობლების ერთ ჯგუფს — სტუდენტებს: გაატყავეს ჭიჭიკო, ხორცი დაამარილეს და მწვადები დაამზადეს სახელდახელოდ. ზინაიდასაც შეუტანეს და მათიკოსაც თეფშით მწვადები. არც ერთმა ჭამა: მათიკომ იტირა კიდეც მწვადების დანახვაზე, შვილივით მიყვარდა, მაგის მწვადებს როგორ დავეკარებო. ზინაიდა კი, ლოგინში რომ ჩაწოლილიყო გაფითრებული, გაიღიმა და თქვა: ორ ლუკმა მწვადის გულისთვის მთელი თხის ფასს ვერ გადამახდევინებთ. ტყუილად ცდილობთო.

სამი კვირის შემდეგ, როცა პატრონმა უკვე გამოიგლოვა უიღბლო თხა, შუადღის გულზე კარზე მიადგა ზინაიდა მათიკოს. ოთახში შესვლის დროს მოაჯირის თავზე ჭიჭიკოს ტყავი დაინახა, შეეზიზღა, რამდენ-

ჯერმე გადააფურთხა ზედიზედ. მათიკომ შეიტყო ზინაიდას „გულისრების“ მიზეზი, სასწრაფოდ გამოალო კარები და ჭიჭიკოს მკვლელს მოსისხლე მეზობელს შეეკითხა:

— რას იფურთხებდი დაო, სარკეში ხომ არ ჩაიხედინა?

ზინაიდამ განზრახ ვერ გაიგო ამ კითხვის შინაარსი, არაფერს, ისეო მათიკოს უთხრა, გაიღიმა და ძლივს წარმოსთქვა:

— ვიცი, რომ ძალიან ნაწყენი ხართ ჩემზე, მაგრამ ჩემი ბრალიც არ ყოფილა, შემოთხვევით შემომავკდა, ახლა იმიტომ მოვედი, რომ ხომ მოგეხსენებათ ვალს ვერ გავუქცევო. აი ფული — თქვა ზინაიდამ, მათიკოს ოცდახუთი თუმანი გადასცა და განაგრძო — მხოლოდ იცოდეთ, რომ ამ ფულს თხის საფოსურში კი არ გაძლევთ, სხვა რამეში — მათიკოს უჩურჩულა — ორსულად ვიყავი, ფარულად აბორტის გაკეთებას ვაპირებდი... თქვენი თხა დამეჯახა და მუცელი მომიშალა. ამ ფულს ამის გამო გაძლევთ. სულ ერთია ოცდახუთ თუმანზე ნაკლებ არც ერთი ექიმი არ იკისრებდა თავის განწირვას. — გაიცინა.

მათიკომ არც აცივა და არც აცხელა, პირდაპირ უთხრა:

— თხის საფასურიც უნდა მომცე.

— თხა?! — გაბრაზდა ზინაიდა. — გეკამა ხორცი და ის იქნებოდა, ვინ დაგიშალა.

მათიკომ კარებში შეაჩერა ზინაიდა და მიმართა:

— ხომ იცი როგორ მიყვარდა ჭიჭიკო-თავს ვეგლებოდი ეს უშვილო ქალი, ვუფ-ლიდი, შვილივით მიყვარდა: — საკუთარ შვილებს მხოლოდ ღორები სჭამენ, უფრო ხშირად კი ჰკლავენ, სიცოცხლეს უსპობენ...

წამოვიდა ზინაიდა და მგონი დღესაც არ მიმხვდარა თუ ვისი მისამართით იყო მათიკოს მიერ ნათქვამი ეს სიტყვები.

8. ივანიშვილი.

დასაიჩნოს ხუბულავა

კიოსკი აქვს ჩაქვის სადგურს, გაბგედ ვინ არ ჰყოლია. ბოლო დროს კი მოგვეკვლინა ხუბულავა ოლია.

შემოიღო საკვირველი მან წესრიგი ასეთი: კიოსკში აქვს ყველაფერი გარდა ჟურნალ-გაზეთის.

უპატაკა უფროსებსა, წარუგზავნა უსტარი: — გასასყიდი ბევრი რამ მაქვს, ცოტა მოდის მუშტარი...

თან კიოსკი მიატოვა, აღარავინ ჰყავს გუშავი. და სეირნობს უდარდელად „კავშირბჭედვის“ მუშაკი.


კიო-



თბილისის მკვრივობა

ვადაძინა

არქივული ინფორმაცია



— ეს რა არის შვილო! მალაზიას თწილბურვაჭრობა ჰქვია, თქვენ კი ცოც პურს ჰყიდი!

ს მ ზ მ ღ ა ქ ი შ ე ი შ ი

გ მ ღ მ რ ი

— აბა ჩქარა, ერთი კობტა ულუფა სოუ-
ზი გამიშადე, ვილაც უცხო მოქალაქე გვაწ-
ვია! — შესძახა ოფიციატმა მზარეულს
მზარეულმა დიდხანს არ ალოდინა. კერძი
მიაწოდა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ოფი-
ციანტს გაბზული კაკუნი მოესმა. მას მაგი-
დასთან მჯდომი მოქალაქე უხმობდა. იგი
ლელავდა, მაგიდაზე ხელს ურტყამდა და
ყვიროდა:

— რას გავს ეს?!. საშინელებაა!.. მე კერძი
ბოვითხოვე და არა ბუზებისა და ხოჭოების
სოუზი... სად არის გამგე? მომეციო საჩივრის
წიგნაკი?... დაუძახეთ მზარეულს!.. ოქმი უნ-
და შევადგინო, ასეთა უმსგავსოებისათვის
პასუხისგებაში ხარო ყველანი მისაცემი...

ოფიციატი დაიბნა... მაგრამ მაინც სცადა
თავის მართლება:

— დაწყნარდით, მოქალაქე!.. არაფერია,
საქმე ახლავე გამოირკვევა...

— როგორ თუ არაფერია!.. რაა გამოსარ-
კვევი? ვერ ხედავთ რამხელა ხოჭოა ჩახრაკუ-
ლი ამ სოუზში? მე განა ხოჭოების საჭმელად
შემოვედი?... ოქმი უნდა შედგეს, ოქმი! პა-
სუხისგებაში ხარო...

მზარეული სასწრაფოდ გაჩნდა მაგიდას-
თან.

— რას ბრძანებთ, ბატონო. რის ოქმი, რა
ოქმი?.. რა საჭიროა ან საჩივრის წიგნაკი! ეს
უბრალო გაუგებრობაა... შეცდომაა... და
შეტე არაფერი დღეს ჩვენ მენიუში ფლავი

გვაქვს ქიშიშით, ალბათ კერძის განაწილე-
ბის დროს ერთი ცალი ქიშიშის მარცვლისა,
თქვენს კერძში ჩაეარდა შემთხვევით... მა-
გისტვის რად ლელავთ?! თუ არ გიყვართ, ჩე-
მი კერძი იყოს, — თქვა და ორი თითით აიტა-
ცა შავი შემწვარი მწერი და პირისაკენ გა-
აქანა... გადაყლაბა. და დუშმატა — ქიშიშია,
ახლაც არა გჯერათ?!

გაპქრა ფაქტი... გაპქრა ხოჭო! ქიშიშიად
მოინათლა. იძიეთ ახლა რა იყო... შეადგინეთ
ოქმი! — გაიფიქრა მოქალაქემ და დაწული
ტონით წარმოსთქვა:

— შეგერგოს! კარგი კერძის დამზადებ
გცოდნია და კარგი გემოვნებაც გქონიათ...
დასტოვა კერძი და გამოვიდა სა...ალილოდან.
ქიანჭველა

კუპარახას (ხაშური). გაზაფხულს თქვენს
„მუზაზე“ ცუდი გავლენა მოუხდენია, რაც
აშკარად სჩანს თქვენი ლექსიდან:

ოთახში ვარ მოწყენილი,
იფურჩქნება ყველაფერი,
ჩემი სატრფო იქვე მიზის
და მიბღვერის ვით მოზვერი.

ალბათ თქვენს სატრფოს თქვენი ლექს
ჯერ არ წაუკითხავს და როცა წაიკითხავს,
შეიძლება „მოზვერით ბღვერა“ არ გაემა-
როთ და კეტიც გითავაზოთ მაგ „პოეტურ
თავზე“.

ახალს (სიღნაღი). მართალია, თქვენ
ფსევდონიმი „ახალია“, მაგრამ თქვენგან მო-
წოდებული მასალა საკმაოდ ძველია.

შ—ს (აქვე). იწერებით, თბილისის სახუნ-
ტის ლექტორმა დორა წერეთელმა სტუდენ-
ტებს ზოობარკის მხეცები გვიწოდაო, თანაც
იმასაც გვატყობინებთ, რომ ამის შემდეგ
დორა თვალთ აღარ გვინახავსო. ნიანგის ჩა-
რევა ამ საქმეში, როგორც გავს. საჭიროა აღა-
რაა, რადგან თქვენი წერილის მიხედვით გა-
მოდის, რომ დორას „სიმღერას“ უშედეგოდ
არ ჩაუვლია.

კატაპი ნიანგს (ლანჩუთი)

ჩვენს ელსადგურს ბევრი კიცხავს
მასთან ყველა მართალია:
მისწრებაა! — დღე გვინათებს,
ლამ-ლამობით ჩამქრალია.

—

ჩვენი ფოსტის მუშაობას,
მსურს ავხადო წუთით ფარდა,
ყველაფერი იშოვება
კონვერტის და მარკის გარდა.

შორა.



კონსერვანსი: — ახლა ამხანაგებო, სცენის მოყვარის და მომღერლის ვალიკო უჩხუბელის მიერ შესრულებული იქნება მალხაზის არია.

ხმა პარტიკიდან: — არედა, მა რა ჯანდაბას იზამდა, როცა ეჭვსი ლიტრა კახური ქონდა თეატრში წამოსვლის წინ დაღეული.